



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მამაცაშვილი ნიკოლოზ დავითის ძე



ნ. მამაცაშვილი

მამაცაშვილი ნიკოლოზ დავითის ძე (4. XII. 1894, თბილისი, – 3. XII. 1969, იქვე), ქორმაისტერი, პედაგოგი. საქართველოვნ. დამს. მოღვაწე (1966). 1917 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია, სადაც შეისწავლა საეკლ. საგალობლები, ქართ. სასიმღერო ფოლკლორი და ვიოლინოზე დაკვრა (ხელმძღვ. ნ. სულხანიშვილი). სწავლის პერიოდში გ. ლეონიძის ლექსზე დაწერა საგუნდო სიმღერა „ელეგია“ (1910). იყო თბილისში 80 მომღერლისგან შედგენილი ეგზარქოსის გუნდის პირველი ქართვე. რეგენტი. 1917 მიიწვიეს რუს. მუს. კომედიის დასში. 1921-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. მუს. სასწავლებელში. პარალელურად დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (1936). 1931–36 იყო უკრაინული მუს.-დრამ. წრის სამხატვრო

ხელმძღვ. და დირიჟორი, 1938 – ამიერკავკ. სამხ. ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვ. და დირიჟორი, 1939–48 – თბილ. მუს. სკოლის პედაგოგი, შემდეგ – დირექტორი, 1940–51 – თბილ. მუს. კომედიის თეატრის ქორმაისტერი. 1951 კოჭტლა-იარვეში (ესტონეთი) ხელმძღვანელობდა თავისსავე ჩამოყალიბებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს; შემდეგ მოღვაწეობდა თბილ. მუს. კომედიისა (ქორმაისტერი) და რუსთაველის (ლოტბარ-პედაგოგი) თეატრებში, თბილ. „ნიჭიერთა ათწლეულში.“

მ-ის რეპერტუარში იყო მუსიკალური კომედიები: გ. ცაბაძის „ბრწყინვალე მომავალი“ (1950), ნ. გუდიაშვილის „საჩუქარი“ (1951), რ. გაბიჩვაძის „ჭრიჭინა“ (1952), დ. თორაძის

„შურისმაძიებელი“ (1952), შ. აზმაიფარაშვილის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (1952), შ. მილორაგას „სასიძოები“ (1953) და სხვ. გუნდისათვის გადაამუშავა დ. არაყიშვილის, ვ. დოლიძის, თ. თევდორაძის, რ. ლალიძის თ. თაქთაქიშვილის, ს. მირიანაშვილის და სხვათა სიმღერები.

ლიტ.: კობახიძე ბ., რუსთაველის თეატრის ლოტბარი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, №6.
